შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

(თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.)

ავლაბარი თბილისის ძველი უბანია. იგი არსებობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში. თავდაპირველად ავლაბარი ერქვა უგალავნო ტერიტორიას მეტეხის კლდის გასწვრივ. ვარაუდობენ რომ მისი სახელწოდება XIV საუკუნიდან უნდა იყოს გავრცელებული. კერძოდ, ავლაბარი პირველად გვხვდება 1392 წლის სვეტიცხოველის მამულთა ნუსხაში. თეიმურაზ ბერიძე თბილისის ისტორიის ცნობილი მკვლევარი განმარტავს, რომ სიტყვა „ბარე“ აღნიშნავს სანგარს, ზღუდეს, გალავანს. ამდენად, ავლაბარი გალავნის იქითა ტერიტორიას, გარეუბანს ნიშნავს.

XV საუკუნეში აქ სასახლეები ჰქონიათ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს. ავლაბარში სახლობდნენ მეფისა და დიდებულთა ყმები. აქ ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლები: ბერძნები, სპარსელები, სომხები. ეს უბანი თავის სახელოსნოებით იყო ცნობილი.

ავლაბარი ადმინისტრაციულად ქალაქს 1802 წელს შეუერთდა. დაგეგმარებით იგი მკვეთრათ განსხვავდებოდა თბილისის სხვა უბნებიდან. ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის პარალელურად გადიოდა, ხოლო მთავარი ქუჩა მათ ოდნავ ირიბად ჰკვეთდა. ცალკეული გამონაკლისის გარდა ავლაბრის ამ თავისებურებას, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის II ნახევარში ჩაეყარა დღემდე მოაღწია. აქა იქ შემონახულია საცხოვრებელი სახლების საინტერესო ნიმუშები, განსაკუთრებით აღსანიშნავია „დარბაზის“ ტიპის სახლის ერთადერთი შემორჩენილი ნეშთი. ბანიანი სახლები და ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი აჟურული აივნები დღესაც ალამაზებს ჩვენს დედაქალაქს.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს მოსაზრება, რომ პოპულარობისაკენ სწრაფვა ადამიანს აიძულებს ანგარიში გაუწიოს მასების გემოვნებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ, *თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.*

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ავთანდილს ხატაელებთან ბრძოლის ამბავს უამბობს:

1. შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;
   საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
   ერთსა წავსწყდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად.
   მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად.
2. ახლოს მივე, შემომხედნეს, „შმაგიაო“, ესე თქვესა.
   მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
   კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,
   შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!
3. შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
   კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
   კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი,
   ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი...
4. საღამო-ჟამ დაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან:
   „ნუღარა სდგათ, წაედითო, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან,
   მოვა მტერი საშინელი, შეგვაშინა ამად ამან,
   ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან, ბევრმან სპამან“.
5. ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე არა,
   რა ეცნა, წამოსრულიყვნეს, ღამე-წამორთვით ეარა;
   ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა;
   გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუკმან ხმა გააზეარა.
6. იგი ნახეს, გასაქცევად გაემართნეს, შევჰყივლენით;
   ველნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითავე გარდავვლენით.
   რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით,
   მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

7. უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,
დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა;
ძილისა მიჰხვდა ნაცვალი ძილ-მკრთალთა, ღამე-თეულთა,
ტყვეთა მრთელთაცა არ აკლდა კვნესა, მართ ვითა სნეულთა.
8. მას ადგილსა ნაომარსა გარდავხედით მოსვენებად.
ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა, არ ნაღებად;
ჩემნი სპანი მოვიდიან საჭვრეტლად და ჩემად ქებად,
ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებასაცა მოხსენებად.
9. ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს;
ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს,
რომელთაცა გავეზარდე, დიდებულნი ამიტირდეს,
ჩემგან ხრმლითა განაკვეთნი ნახნეს, მეტად გაუკვირდეს.
10. გავგზავნენ ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე,
ერთობ სავსენი მოვიდეს, თავიცა ვალაღებინე,
სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევაღებინე,
არ ვჰბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავაღებინე.
11. რამაზს ვარქვი: „შემიგნია საქმე შენი სამუხთალე,
აწ ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართალე,
სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა ხელთა მომათვალე,
თვარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად წავსთვალე?“
12. რამაზ მითხრა: „აღარ არის ამის მეტი ჩემი ღონე,
ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედა მაპატრონე,
ციხოვანთა გავუგზავნო, საუბარი გამიგონე,
ხელთა მოგცემ ყველაკასა, განაღამცა შენ გაქონე!“

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 3. ტარიელის როგორი სულიერი მდგომარეობა ჩანს პირველ სტროფში?

ა) იგი ბრძოლის ჟინით არის შეპყრობილი.

ბ) იგი თანამებრძოლთა უმოქმედობით არის აღშფოთებული.

გ) იგი მიჯნურობის გრძნობით არის გახელებული.

დ) იგი მოწინააღმდეგეთა თავხედობით არის დათრგუნვილი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 4. რატომ თქვეს ხატაელებმა ტარიელის შესახებ „შმაგიაო“?

ა) ხატაელთა აზრით, ტარიელი მათ მოტყუებას ცდილობდა.

ბ) ხატაელთა აზრით, ტარიელს გარდაუვალი სიკვდილი ელოდა.

გ) ხატაელთა აზრით, ტარიელს ლაშქარი გადამალული ჰყავდა.

დ) ხატაელთა აზრით, ტარიელს მისი ძმადნაფიცები ეხმარებოდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **5. რას ნიშნავს ფრაზა:** „მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“?

ა) ორივე გაიქცა.

ბ) ორივემ მზეს ახედა.

გ) ორივე სიცოცხლეს გამოესალმა.

დ) ორივე შეშინდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 6. ტროპული მეტყველების რომელ სახეს იყენებს ავტორი სტრიქონში: „შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“?

ა) გაპიროვნებას.

ბ) ეპითეტს.

გ) მეტაფორას.

დ) შედარებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 7. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი მხატვრულ საშუალებას?

ა) „ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი“.

ბ) „კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი“.

გ) „საღამო-ჟამ დაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან“.

დ) „შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **8. რას გამოხატავს ხატაელი გუშაგის შეძახილი:** „ნუღარა სდგათ, წაედითო, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან“?

ა) აღშფოთებას.

ბ) გულგრილობას.

გ) თავზარდაცემას.

დ) შეუპოვრობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 9. როგორ აღმოჩნდნენ ტარიელის გვერდით ძირითადი ლაშქრის მეომრები?

ა) ომის საფრთხე რომ შეიტყვეს, ნავებით გამოცურეს.

ბ) ომის საფრთხე რომ შეიტყვეს, ღამითაც იარეს.

გ) საბრძოლო ეტლების წყალობით ელვის სისწრაფით იარეს.

დ) წინასწარ იყვნენ ჩასაფრებულნი მინდვრის განაპირა ტყეში.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 10. რომელი სტრიქონიდან ჩანს, რომ ტარიელის მცირე რაზმმა, რომელიც ბრძოლით უკან იხევდა, მტერს კვლავ შეუტია?

ა) „ველნი, ჩვენგან ნაომარნი, ომითავე გარდავვლენით“.

ბ) „იგი ნახეს, გასაქცევად გაემართნეს, შევჰყივლენით“.

გ) „მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით“.

დ) „რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 11. ომის შემდეგ აღმოჩნდა, რომ:

ა) ინდოელთა ლაშქარი უფრო დაზარალებულა.

ბ) რამაზ მეფე მძიმედ დაჭრილა.

გ) ტარიელი მსუბუქად იყო დაჭრილი.

დ) ხატაელთა მსხვერპლი უმნიშვნელო იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 12. რას ნიშნავს ფრაზა: „ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებასაცა მოხსენებად“?

ა) საკუთარი გრძნობების გამოსახატავად სიტყვები არ ჰყოფნიდათ.

ბ) საკუთარი გრძნობების გამოსახატავად უამრავი სიტყვა დახარჯეს.

გ) შესაფერისი ქების წარმოსათქმელად სიტყვები არ ჰყოფნიდათ.

დ) შესაფერისი ქების წარმოსათქმელად უამრავი სიტყვა დახარჯეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 13. რომელ სტრიქონში ჩანს ტარიელის უებრო მეომრობა?

ა) „ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს“.

ბ) „მას ადგილსა ნაომარსა გარდავხედით მოსვენებად“.

გ) „რომელთაცა გავეზარდე, დიდებულნი ამიტირდეს“.

დ) „ჩემგან ხრმლითა განაკვეთნი ნახნეს, მეტად გაუკვირდეს“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 14. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი ჰიპერბოლას?

ა) „არ ვჰბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავაღებინე“.

ბ) „გავგზავნენ ყოვლგან ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე“.

გ) „ერთობ სავსენი მოვიდეს, თავიცა ვალაღებინე“.

დ) „სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევაღებინე“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **15. რის გამო უსაყვედურებს ტარიელი რამაზ მეფეს?**

ა) ამპარტავნების.

ბ) სიმხდალის.

გ) ღალატის.

დ) სიხარბის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **16. რა მოსთხოვა გამარჯვებულმა ტარიელმა ხატაელების მეფეს?**

ა) გახიზნული ხატაელები დაებრუნებინა.

ბ) დატყვევებული ინდოელი მეომრები გაეთავისუფლებინა.

გ) ლაშქარი გულუხვად დაესაჩუქრებინა.

დ) მისთვის ყველა ციხე-სიმაგრე ჩაებარებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 17. ტარიელის რა თვისება ჩანს მოცემულ ტექსტში?

ა) პატივმოყვარეობა.

ბ) სიმამაცე.

გ) სიუხვე.

დ) წინდაუხედაობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს ავტორი ბრძოლის სცენას (შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ისტორიული კონტექსტი).
- იმსჯელეთ ტარიელის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“:

პორუჩიკ ანდრიევსკის დღიურები:

გუშინ მე და დათა თუთაშხია კედიას ორადგილიანი ეტლით მაზრაში წავედით. ცხენი ტაატით მიდიოდა. დროდადრო სცრიდა. გზად მიმავალ შუახნის ქალს წამოვეწიეთ. დაღლილი, სველი, სიცივისგან გაცრეცილი იყო. დათამ თქვა, ეს ქალი დავსვათ, რაღა დარჩა, ფეხით სიარული კიდეც მეხალისებაო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. დავსვით, მაზრაში ჩავიყვანეთ.

ჯერ საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში შევედით, საყიდლები მქონდა. მერე მანუფაქტურისთვის შევიარეთ, ორთავეს რაღაც გვჭირდებოდა. საბაზრო კვირადღე იყო, მუშტარი ბლომად ტრიალებდა, დახლთან პატარა რიგიც კი იდგა. ჩვენც დავდექით და დაველოდეთ. რიგმა მალე მოგვიწია, ნოქარს საქონელი გადმოვაღებინეთ. ამ დროს დარბაზში შაფათავას ცოლი შემოცქრიალდა. მასწავლებელი შაფათავა ახალგაზრდა კაცია, ცოლიც ახალგაზრდა, ლამაზი ჰყავს, მაგრამ ცოტა ცანცარაა. შემოცქრიალდა და პირდაპირ ჩვენი დახლისკენ წამოვიდა. ხალხი საკმაოდ მოურიდებლად გასწი-გამოსწია. დათას მოადგა, იგივე დაუპირა. დათამ ქალს თვალი შეავლო, გზა არ მისცა. მისი თავაზიანობის ამბავი ვიცოდი და გამიკვირდა. ქალი ეჯაჯგურებოდა, დაჟინებით ცდილობდა, დათა როგორმე გზიდან ჩამოეცილებინა, ნოქრამდე მიეღწია, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, დათას დაძვრას მამაკაცის ღონე სჭირდებოდა. შაფათავას ლამაზი ცოლი მაინც არ ცხრებოდა. არც დათა გამოდგა ნაკლებად ჯიუტი, გოჯი არ დაუთმო. ნოქარმა ნაყიდი საქონელი გაგვიხვია, ფულიც გადავიხადეთ, მაგრამ დათამ ადგილი არც ახლა დათმო, არც მე გამიშვა, – იდექიო, და ჩვენს შემდეგ მდგომ ქალს ჰკითხა, რომელი ნაჭერი გნებავთო. როცა ნოქარს ის ნაჭერი მოატანინა, პოზიცია მერეღა დატოვა.

გამოვემგზავრეთ. გზაში ვკითხე, – ეტლიდან ჩამოხვედი, უცნობი ქალი დასვი, მაზრამდე ფეხით იარე და შაფათავას ლამაზი ცოლი კი, მოკვდი და დახლს არ მიაკარე. ეს როგორღა გავიგოთ-მეთქი?

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

– მისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის არ მოვქცეულვარ! – მითხრა დათა თუთაშხიამ.

გამოდიოდა, რომ დათა თუთაშხიას საქციელი შაფათავას ცოლის ინტერესებს ემსახურებოდა. ამ თავზეხელაღებულმა ალტრუიზმმა დამაეჭვა. რიგიანად გამოვკითხე, თუ რას გულისხმობდა და აი, რა გამოვიდა:

თურმე თავხედებად იმდენნი არ იბადებიან, რამდენნიც მერე ხდებიან. თვითონ კი არ ხდებიან, ჩვენ ვაქცევთ თავხედებად: ქალი იქნება თუ კაცი, – შაფათავას ცოლისთანა ტუტუცი, – ერთხელ ინსტინქტურად რომ ჩაიდენს თავხედობას და ამას მორიდებული, ხათრიანი კაცის მიმართ იზამს, ეს კაცი, თავისი ზნეობრივი მონაცემებიდან გამომდინარე, თავხედობას შეარჩენს. მეორედ სხვა სიტუაციაშიც შეიძლება ასე გამოუვიდეს. მესამედაც. ტუტუცი კია, მაგრამ მიხვდება, – თავხედობა ცხოვრებას აადვილებსო, და სიკვდილამდე თავხედი იქნება. ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო? გამდის და ვტირიო!

ახლა პირიქით ვნახოთ: ტუტუცს დღეს არ დაუთმეს გზა თუ რაც არის და თავხედობა არ გაუვიდა. ხვალაც ასე მოხდა. ზეგ იქნებ ისეთსაც გადაეყაროს, რომ თავხედობისთვის მიუზღოს კიდეც. როგორი ტუტუციც უნდა იყოს ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, თავხედობაზე ხელს აიღებს და სამარემდე წესიერი კაცი იქნება.

პარადოქსია. თავხედურს თავხედი იზამს. თავხედთან კი ასე ნაზად მოქმედი საშუალებებით, ვფიქრობ, ვერაფერს გახდება კაცი. მიუხედავად ამისა, ჩემი მასპინძლის თვალსაზრისში მაინც არის ერთგვარი, ჩემთვის გაუგებარი ჭეშმარიტება და ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინება.

გრაფი სეგედი (კავკასიის ჟანდარმერიის უფროსი):

თუთაშხიას დოსიე სწრაფად გაიზარდა და იმდენად წინააღმდეგობრივი, ზოგჯერ საეჭვო ხასიათის ცნობებით შეივსო, რომ სამსახურებრივი მოვალეობის გარდა, პროფესიული ცნობისმოყვარეობაც გვამოძრავებდა ნამდვილად გაგვეგო, რა ჩაიდინა და რა არ ჩაუდენია თუთაშხიას. პირადად მე უაღრესად მაინტერესებდა მასთან პირისპირ შეხვედრა, საუბარი, მის ფსიქიკაში ჩახედვა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

აბრაგობის პირველი ოთხი წლის მანძილზე თუთაშხია, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, საქართველოს ფარგლებს არ გასცილებია. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევდა, ასე თუ ისე, უწყვეტი თვალ-ყური გვედევნებინა მისთვის და იმედი გვქონდა, რომ დღეს თუ ხვალ გაებმებოდა ჩვენ მიერ დაგებულ რომელიმე მახეში. თუთაშხიას, ეტყობა, ეხალისებოდა პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან ამგვარ დამოკიდებულებაში ყოფნა, რაც, იქნებ, იმითაც აიხსნებოდეს, რომ ხალხში ყოველი მისი პატარა წარმატებაც კი დიდ გამოხმაურებას პოულობდა, ამაღლებდა მის ავტორიტეტს, აკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას. არსებობს გარდუვალი კანონზომიერება. აბრაგის ხვედრი, ბოლოს და ბოლოს, სახრჩობელა, მდევრის ტყვია ან გამცემის ხანჯალი თუ საწამლავია, მაგრამ თუთაშხია, ჩანს, განგების რჩეული იყო და მისი ბედისწერა ჯერჯერობით კანონზომიერებებს არ ემორჩილებოდა. ზემოხსენებული ოთხი წლის მანძილზე სამძებრო დაწესებულებებმა ოცამდე ისეთი კაცის გადმობირება შეძლეს, ვისაც თუთაშხია ენდობოდა და სტუმრობდა. დასაშვებია, რომ ამ ოციდან ათმა მას მოსალოდნელი საფრთხე გაუმხილა, მაგრამ დანარჩენ ათს თუთაშხიამ ალღო უდავოდ თვითონ აუღო და აღარ გაჰკარებია. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენთვის მრავალგზის გახდა ზუსტად ცნობილი, თუ სად და როდის უნდა მისულიყო იგი. აქედან ხუთჯერ თუ შვიდჯერ თუთაშხია დანიშნულ ადგილზე სულ არ მისულა და პოლიციის გაძლიერებული რაზმი მას ამაოდ ელოდა. ერთხელ ისიც მოხდა, რომ საიმედოდ შემორტყმული ალყიდან გაიპარა, პოლიციისავე საჯინიბოდან რვა ცხენი წაიყვანა და, როგორც შემდგომში გამოირკვა, ოზურგეთში გაყიდა. ისეთი შემთხვევაც იყო, რომ თურმე, ამაოდ შემორტყმულ ალყაში რაღაცნაირად შეიპარა, მასპინძელთან ივახშმა და კვლავ გაიპარა. ეს რამდენიმე მაგალითი იმისთვის მომყავს, რომ ჩემს ხანგრძლივ პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა აბრაგი გაუგებარი თავგამოდებით ეხუმრებოდა და ეთამაშებოდა – სახრჩობელას თუ არა, კატორღას მაინც.

ათას რვაას ოთხმოცდაცხრა წელს თუთაშხია უკვალოდ გაქრა. ამის გამო ხალხში ათასნაირი ხმა დაირხა, მაგრამ სარწმუნო – არც ერთი. ვფიქრობ, მეტისმეტად სუსტ, მისი ღირსებისთვის სათაკილო მოწინააღმდეგეებად მიგვიჩნია, თამაში მობეზრდა...

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) **3. რატომ ამბობს დათა:** „რაღა დარჩა, ფეხით სიარული კიდეც მეხალისებაო“**?**

ა) სურს, ეტლში ქალისთვის ადგილის დათმობა უმნიშვნელო საქციელად წარმოაჩინოს.

ბ) სურს, წვიმაში გასეირნების განზრახვა თანამგზავრთან ამგვარად გამოხატოს.

გ) უნდა, ფეხით გაიაროს, რადგან ეტლში გაუნძრევლად ჯდომამ დაღალა.

დ) უნდა, თანამგზავრი გაართოს და ფეხით გასეირნება შესთავაზოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **4. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მხატვრულ საშუალებას?**

ა) „შუახნის ქალს წამოვეწიეთ“.

ბ) „სიცივისგან გაცრეცილი იყო“.

გ) „სიარული კიდეც მეხალისებაო“.

დ) „დავსვით, მაზრაში ჩავიყვანეთ“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **5. შაფათავას ცოლის რომელი თვისებები ჩანს ამ ტექსტში?**

ა) თავმდაბლობა და მოუთმენლობა.

ბ) სიჯიუტე და მოკრძალება.

გ) შეუპოვრობა და თავხედობა.

დ) უძლურება და თავაზიანობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რატომ ამბობს მთხრობელი: „არც დათა გამოდგა ნაკლებად ჯიუტი“?

ა) დათამ საზოგადოებას აჩვენა, რომ საკუთარი ნებით არავის დაემორჩილებოდა.

ბ) დათამ მას შემდეგ გაატარა შაფათავას ცოლი, როდესაც ნოქარს ფული გადაუხადა.

გ) დათამ ყველას კარგად დაანახვა, რომ იგი სხვებზე გაცილებით ძლიერი იყო.

დ) დათამ არაფრით არ დაუთმო დახლთან ადგილი შაფათავას ლამაზ ცოლს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რა გაუკვირდა მთხრობელს?

ა) დათამ, თხოვნის მიუხედავად, ქალი დახლისაკენ არ გაატარა.

ბ) დათამ ეტლში ადგილი დაუთმო ქალს, დახლთან კი - არა.

გ) დათამ საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა ლამაზი გარეგნობის ქალს.

დ) დათამ მოინდომა, რიგში მის უკან მდგომ ქალს დახმარებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **8. რას გულისხმობდა დათა სიტყვებში:** „მისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის არ მოვქცეულვარ“?

ა) მხოლოდ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ადამიანი ჭკუას ვერ ისწავლის.

ბ) შაფათავას ცოლისთვისვე ჯობდა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ეზრუნა.

გ) შაფათავას ცოლისთვისვე ჯობდა, ჭკუა ესწავლა და თავხედურად აღარ მოქცეულიყო.

დ) ადამიანმა ბევრი რამ უნდა გამოცადოს, ახლობლებთან ურთიერთობა რომ ისწავლოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **9. რომელი აზრის ნათელსაყოფად მოჰყავს დათას ამგვარი არგუმენტი:** „ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო? გამდის და ვტირიო“?

ა) ზნეობრივი ადამიანი თავხედობას წინააღმდეგობას ვერასოდეს გაუწევს.

ბ) თუ თავხედური საქციელი არ დაისჯება, ის ჩვევად იქცევა.

გ) ღირსეულია ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე არ ზრუნავს.

დ) ბავშვს ყოველთვის უფროსების უსამართლო საქციელი ჰგვრის ცრემლს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. დათას აზრით, რა შემთხვევაში მოხდება ის, რომ „ტუტუცი... ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, თავხედობაზე ხელს აიღებს და სამარემდე წესიერი კაცი იქნება“?

ა) როცა ტუტუცს თავხედობისათვის სამაგიერო მიეზღვება.

ბ) როცა გულგრილი ადამიანი უსამართლობას შეეგუება.

გ) როცა ადამიანები ზნეობრივ საზოგადოებას ჩამოაყალიბებენ.

დ) როცა თავხედობას ძალით კი არა, შეგონებებით დაძლევენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. დათას პოზიციის როგორი შეფასება ჩანს პორუჩიკის დღიურის ბოლო აბზაცში?

ა) ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების ასე მკაფიო გამოვლინება მიუღებლად ეჩვენებოდა.

ბ) ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულება ყველა შემთხვევაში გაუმართლებლად მიაჩნდა.

გ) ბოლომდე ვერ იაზრებდა დათას საქციელს, მაგრამ მის აქტიურ პოზიციას ამართლებდა.

დ) მიუხედავად დათას მიმართ სიმპათიისა, არ იწონებდა მის აგრესიულ პოზიციას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. გრაფი სეგედის სიტყვებით, რა შთაბეჭდილება იქმნებოდა თუთაშხიაზე მისი დოსიეს მიხედვით?

ა) თუთაშხიას დოსიედან ჩანდა, დათა მუდმივად ცილისწამების მსხვერპლი იყო.

ბ) თუთაშხიას დოსიეს მიხედვით, დათა სასტიკი ბუნების ადამიანი იყო.

გ) თუთაშხიას დოსიედან გაუგებარი ხდებოდა, როგორი პიროვნება იყო დათა.

დ) თუთაშხიას დოსიეს მიხედვით, დათას ხასიათის შეცნობა შესაძლებელი იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რატომ ჰქონდა ჟანდარმერიის შეფს იმის იმედი, რომ დათა „დღეს თუ ხვალ გაებმებოდა... რომელიმე მახეში“?

ა) დათას ბედისწერა აშკარად არ სწყალობდა.

ბ) დათას მოსახლეობაში ბევრი მტერი ჰყავდა.

გ) დათა მოხერხებულობით არ გამოირჩეოდა.

დ) დათას თვალ-ყურს მუდმივად ადევნებდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. რა შედეგი მოჰყვებოდა ხოლმე იმას, რომ, მცდელობების მიუხედავად, პოლიცია დათას ვერ იჭერდა?

ა) თუთაშხია ბედს აღარ ენდობოდა.

ბ) ხალხი თუთაშხიას ზურგს აქცევდა.

გ) თუთაშხიას ამპარტავნება იპყრობდა.

დ) თუთაშხიას ავტორიტეტი იზრდებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **15. რა მეთოდით ცდილობდა პოლიცია დათას შეპყრობას?**

ა) დათას სანათესაოში ჯაშუშის შეგზავნით.

ბ) დათას მიერ დაჩაგრული ხალხის შეიარაღებით.

გ) გადმობირებული ადამიანების ღალატის მეშვეობით.

დ) დათას საჭმელში დასაძინებელი წამლის ჩაყრით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. როგორ ხსნის გრაფი სეგედი დათას გაუჩინარებას 1889 წელს?

ა) დათა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო.

ბ) დათას ძალიან მოენატრა მშვიდი ოჯახური ცხოვრება.

გ) დათა საბოლოოდ კანონმორჩილი ადამიანი გახდა.

დ) დათას აღარ იტაცებდა სუსტ მოწინააღმდეგეებთან პაექრობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. როგორ ახასიათებს დათა თუთაშხიას პორუჩიკ ანდრიევსკის დღიურები და გრაფი სეგედის ჩანაწერები?

ა) როგორც პატრიოტსა და თავისუფლებისათვის მებრძოლს.

ბ) როგორც პრინციპულ და უშიშარ ადამიანს.

გ) როგორც რაინდსა და ნამდვილ მეგობარს.

დ) როგორც ხელისუფლების მოწინააღმდეგესა და რევოლუციონერს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ იხატება დათა თუთაშხიას სახე პორუჩიკ ანდრიევსკის დღიურების მიხედვით.
- იმსჯელეთ, როგორ იხატება დათა თუთაშხიას სახე გრაფი სეგედის ჩანაწერების მიხედვით.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე